დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ

დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტი

დავით ტვილდიანის სტიპენდიის

დებულება

თბილისი 2018

I. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის “დავით ტვილდიანის სახელობის სტიპენდიის” დანიშვნის წესს.
2. სახელობითი სტიპენდია – ფულადი ჯილდოა, რომელიც გაიცემა უნივერსიტეტის საბიუჯეტო სახსრებიდან დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის
3. სტიპენდიაზე პრეტენდენტობის უფლება აქვთ მეორე-მეექვსე კურსის სტუდენტებს, რომელთაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობით.
4. თითო კურსიდან შეირჩევა მხოლოდ ერთი სტიპენდიანტი.
5. სტიპენდიანტებს გადაეცემათ სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის სერტიფიკატი.

II. სტიპენდიის დანიშვნის და გაცემის წესი

1. სახელობითი სტიპენდია ინიშნება საკონკურსო კომისიის (დანართი 1) გადაწყვეტილებით საფუძველზე.
2. კომისიის შემადგენლობა დგინდება რექტორის საბჭოს წარდგინებით და მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
3. სტიპენდიანტი აირჩევა კონკურსის წესით ერთი აკადემიური წლის ვადით.
4. სახელობითი სტიპენდია გაიცემა ყოველთვიურად.

III. საკონკურსო შერჩევის პროცედურა და ვადები

1. საკონკურსო შერჩევა წარმოებს 4 ეტაპად.

1.1. პირველი ეტაპი – საინფორმაციო - 1 - 15 სექტემბერი: გულისხმობს კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

1.2. მეორე ეტაპი – ორგანიზაციული, დოკუმენტების მიღების ვადა – ყოველი სასწავლო წლის 16 - 25 სექტემბერი: გულისხმობს სახელობითი სტიპენდიის კანდიდატებისგან დოკუმენტაციის მიღებას. დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც მოეთხოვებათ სახელობითი სტიპენდიის კანდიდატებს, წარმოდგენილია წინამდებარე წესის IV თავში.

1.3. მესამე ეტაპი – კონკურსი, კომისია განიხილავს სახელობითი სტიპენდიანტის კანდიდატურებს წელიწადში ერთხელ, ყოველი სასწავლო წლის - 26 - 30 სექტემბერს:

1.3.1. გულისხმობს კანდიდატების მონაცემთა განხილვის პროცედურას და გადაწყვეტილების მიღებას.

1.3.2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ინდივიდუალურად ყოველ კანდიდატზე კენჭისყრის საფუძველზე. კანდიდატების შესაფასებლად კომისია ხელმძღვანელობს იმ დოკუმენტების და მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რომელსაც წარმოადგენს კანდიდატი და რომლის მეშვეობითაც ვლინდება კონკურსში გამარჯვებული, წარმოდგენილია წინამდებარე წესის VI თავში.

1.4. მეოთხე ეტაპი – დასკვნითი – 01 - 07 ოქტომბერი: გულისხმობს სახელობითი სტიპენდიის სერტიფიკატის გადაცემას უნივერსიტეტის რექტორის მიერ საზეიმო ვითარებაში.

IV. დოკუმენტები, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი სახელობითი სტიპენდიისთვის

1. დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს კონკურსანტების მიერ:

1.1. კანდიდატის, სათანადო აკადემიური წლის, აკადემიური მოსწრების სრული ამონაწერი და საგამოცდო სესიების შედეგებით.

1.2. სათანადო აკადემიური წლის რეიტინგის ჯამური მაჩვენებელი (CGPA – Cumulative Grade Point Average).

1.3. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მიღწევებს სასწავლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

2. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები.

V. სახელობითი სტიპენდიანტების რაოდენობა და სტიპენდიის ოდენობა

1. სახელობითი სტიპენდია გაიცემა კურსზე ერთ სტუდენტზე.
2. სახელობითი სტიპენდიის ბიუჯეტი განისაზღვრება თითოეულ სტიპენდიანტთან მიმართებაში ხელზე ასაღები 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით თვეში.

VI. შერჩევის კრიტერიუმები

1. შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები:

1.1. მაღალი აკადემური მოსწრება (წლიური CGPA 75 და მეტი). „საუკეთესო“ და „კარგი“ შეფასებების მაქსიმალური რაოდენობა სემესტრებში მიმდინარე, მოდულებში დასკვნითი და შემაჯამებელი გამოცდების შედეგების მიხედვით.

1.2. საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, დოკუმენტურად დადასტურებული მიღწევები. (რაოდენობრივი ინდიკატორი)

1.3. უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა. სხვადასხვა სტუდენტურ ორგანიზაციებში, ასოციაციებში, სოციალურად მნიშვნელოვან ღონისძიებებში მონაწილეობა და/ან ორგანიზება. (ხარისხობრივი ინდიკატორი)

1.4. სამეცნიერო შრომები, პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა. (ხარისხობრივი ინდიკატორი)

2. მინიმალური მოთხოვნები სახელობით სტიპენდიაზე წარდგენისთვის:

2.1. მეორე-მეექვსე კურსის სტუდენტები;

2.2. მაღალი აკადემური მოსწრება (წლიური CGPA 75 და მეტი).

2.3. გააჩნიათ გარკვეული მიღწევები საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სახელობითი სტეპენდიის მიმნიჭებელი კომისია

კომისიის შემადგენლობა:

1. უმაღლესი სამედიცინო სკოლა “აიეტი”-ს დეკანი (კომისიის თავმჯდომარე)
2. კანცლერი
3. ვიცე-რექტორი სასწავლო დარგში
4. ვიცე-რექტორი სტრატეგიული მართვისა და განვითარების დარგში
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
6. სტუდენტთა წარმომადგენელი
7. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელი

საკონკურსო ვადები

1-15 სექტემბერი – კონკურსის გამოცხადება
16–25 სექტემბერი – კონკურსში მონაწილე სტუდენტების საბუთების მიღება
26–30 სექტემბერი – სახელობითი სტეპენდიის დანიშვნის გადაწყვეტილების მიღება
01–07 ოქტომბერი - სახელობითი სტიპენდიის გადაწყვეტილების გამოცხადება

დანართი 2

აპლიკანტის შეფასების კრიტერიუმები

	კრიტერიუმის დასახელება				ქულა	პრეტენდენტის ქულა
1	სტუდენტის აკადემიური შეფასების ჯამური შეფასება (ქულა)	75–80			1	
		81–85			2	
		86–90			3	
		91–95			4	
		96–100			5	
2	სტუდენტთა ორგანიზაციებში, ასოციაციებში წევრობა	2.1 დტსუ–ის	წევრი		1	
			გამგეობის წევრი		0.5	
		2.2 სხვა ორგანიზაციის	წევრი		1	
			გამგეობის წევრი		0.5	
		2.3 ეროვნული	წევრი		1	
			გამგეობის წევრი		0.5	
		2.4 სხვა ქვეყნის	წევრი		1	
			გამგეობის წევრი		0.5	
		2.5 საერთაშორისო	წევრი		1	
			გამგეობის წევრი		1	
3	სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა	3.1 დტსუ–ის (აირჩიეთ მხოლოდ ერთი)	მონაწილეობა		1	
			ორგანიზებაში მონაწილეობა		2	
			მოხსენება		3	
		3.2 სხვა ორგანიზაციის (აირჩიეთ მხოლოდ ერთი)	მონაწილეობა		1	
			ორგანიზებაში მონაწილეობა		2	
			მოხსენება		3	
		3.3 ეროვნული (აირჩიეთ მხოლოდ ერთი)	მონაწილეობა		1	
			ორგანიზებაში მონაწილეობა		2	
			მოხსენება		3	
		3.4 სხვა ქვეყნის (აირჩიეთ მხოლოდ ერთი)	მონაწილეობა		1	
			ორგანიზებაში მონაწილეობა		2	
			მოხსენება		3	
		3.5	მონაწილეობა		1	

		საერთაშორისო (აირჩიეთ მხოლოდ ერთი)	ორგანიზებაში მონაწილეობა		2	
			მოხსენება		3	
		3.6 დამატებით რამდენ (n) ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა		n X 0.5		
4	სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა	4.1 დტსუ–ის (აირჩიეთ მხოლოდ ერთი)	მონაწილეობა		1	
			ორგანიზებაში მონაწილეობა		2	
			მოხსენება		3	
		4.2 სხვა ორგანიზაციის (აირჩიეთ მხოლოდ ერთი)	მონაწილეობა		1	
			ორგანიზებაში მონაწილეობა		2	
			მოხსენება		3	
		4.3 ეროვნული (აირჩიეთ მხოლოდ ერთი)	მონაწილეობა		1	
			ორგანიზებაში მონაწილეობა		2	
			მოხსენება		3	
		4.4 სხვა ქვეყნის (აირჩიეთ მხოლოდ ერთი)	მონაწილეობა		1	
			ორგანიზებაში მონაწილეობა		2	
			მოხსენება		3	
		4.5 საერთაშორისო (აირჩიეთ მხოლოდ ერთი)	მონაწილეობა		1	
			ორგანიზებაში მონაწილეობა		2	
			მოხსენება		3	
		4.6 დამატებით რამდენ (n) კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა		n X 0.5		
		4.7 ყოველ შემდგომ (n) მოხსენებაზე +1 ქულა		n X 1		
5	პუბლიკაცია (თეზისი)	5.1 დტსუ–ის			1	
		5.2 სხვა ორგანიზაციის			1	
		5.3 ეროვნული			1	
		5.4 სხვა ქვეყნის			1	
		5.5. საერთაშორისო			1	
6	პუბლიკაცია (სტატია)	6.1 ეროვნული ჟურნალი			1	
		6.2 ეროვნული ჟურნალი (PubMed & Peer-Revied)			2	
		6.3 საერთაშორისო ჟურნალი (PubMed & Peer-Revied)			3	
7	სხვა აქტივობები	არ არის უშუალოდ დაკავშირებული მედიკო–ბიოლოგიურ და განათლების სფეროსთან (n)			1	

შენიშვნა N1	N2 კრიტერიუმის შეფასება "უბრალოდ“: იკრიბება, ამასთან სტუდენტისგან მოითხოვება ასეთი ორგანიზაციაში აქტიური წევრობის (და/ან გამგეობის წევრობის) სტატუსის დამადასტურებელი მტკიცებულება
შენიშვნა N2	განეკუთვნება N3 კრიტერიუმით განსაზღვრულს; კერძოდ თითოეულ ქვეკრიტერიუმში (მაგ: 3.1–ში) აირჩევა ერთერთი შეფასება (კერძოდ მონაწილეობა და/ან ორგანიზებაში მონაწილეობა და/ან მოხსენება). სხვადასხვა ქვეკრიტერიუმში შესაბამის აქტივობათა ქულები შეიკრიბება. თუ ასეთი (ქვეკრიტერიუმით განსაზღვრული), წინა სასწავლო წლის შედეგებით, არის არა ერთჯერადი, ყოველ შემდგომ აქტივობაზე დაემატება 0.5 ქულა
შენიშვნა N3	განეკუთვნება N4 კრიტერიუმს; შეფასებაში მიდგომა ისეთივეა როგორც შენიშვნა 2–შია (N3 კრიტერიუმის 4.1–4.6) ასახული, ერთი განსხვავებით (4.7): გულისხმობს რომ ყოველი შემდგომი მოხსენების არსებობა აპლიკანტის შეფასებას 1 ქულას "ამატებს".
შენიშვნა N4	განეკუთვნება N2–N7 კრიტერიუმებს: ყველა აქტივობა საჭიროებს მტკიცებულებას. კერძოდ, სათანადო ცნობის, სერტიფიკატის, ღონისძიების (კონფერენციის დღის წესრიგის, პუბლიკაციის ასლის, სხვა რელევანტური და/ან ექვივალენტური განმარტებას მოწოდებას.
შენიშვნა N5	სხვა აქტივობებში მიღებული ქულა (1 ქულა) ემატება აპლიკანტის სხვა შეფასებათა ჯამს

დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ